ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48223466**

თარიღი:**12/12/2022**

როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელბურთის საერთაშორისო ტურნირის

(2008-ზევით წ.წ დაბადებულ ვაჟებს შორის) ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტის, მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის,“წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის 20-ე დადგენილების მე-13 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელბურთის საერთაშორისო ტურნირის (2008-ზევით წ.წ. დაბადებულ ვაჟებს შორის) ჩატარების წესი დანართი 1-ის სესაბამისად..

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს (რიმა მარგიანი), ორგანიზება გაუწიოს სპორტული ღონისძიების ჩატარებას.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. № 11)

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის N2 • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY N2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი